საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს იწვევს სამეცნიერო-პრაქტიკულ ონლაინ კონფერენციაზე.

კონფერენციის მიზანია: სტუდენტთა ურთიერთთანამშრომლობა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებს, დოქტორანტებს.

კონფერენციის სამუშაო ენებია: ქართული, ინგლისური და რუსული.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მსურველები **2021 წლის 15 ივნისამდე** უნდა დარეგისტრირდნენ სტუდენტურ კონფერენციაზე და გამოაგზავნონ თეზისები (არანაკლებ 500 სიტყვისა) მისამართზე: conference@gtu.ge

- *კონფერენციის მონაწილეთა ნაშრომების კრებული და კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ელ. ვერსია კონფერენციის დასრულების შემდეგ დაეგზავნება ყველა მონაწილეს;*
- *მონაწილეს ნაშრომის პრეზენტაციისთვის მიეცემა 8-10 წუთი, დებატებისთვის –5 წუთი;*
- კონფერენცია ჩატარდება ონლაინ პლატფორმა Zoom აპლიკაციის გამოყენებით;
- კონფერენციის დაწყებამდე 1 დღით ადრე ყველა მონაწილეს დაეგზავნება კონფერენციის ბმული და პროგრამა ;
- კონფერენციაში მონაწილეობაზე დასტური აპლიკანტს გაეგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე.
- ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს ერთი ან ორი მეტი ავტორი (მაქსიმუმ სამი);

მნიშვნელოვანი თარიღები:

- **15 ივნისამდე** – კონფერენციაზე დარეგისტრირება;
- **20 ივნისი** თეზისების გადმოგზავნის ბოლო ვადა;
- **25 ივნისამდე** – აპლიკანტები მიიღებენ შეტყობინებას კონფერენციაში მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ;
- **29 ივნისი,** 2021 წელი – კონფერენციის გახსნა.

კონფერენციის საკონტაქტო პირები:

პროფესორი ლილი პეტრიაშვილი, l.petriashvili@gtu.ge

პროფესორი ნონა ოთხოზორია, n.otkhozoria@gtu.ge

თეზისების გაფორმების წესი:

მოხსენების თეზისები უნდა შეიცავდეს არაუმეტეს 500 სიტყვისა;
თეზისები უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი და მაქსიმუმ ექვსი აბზაცისგან

თეზისები უნდა მოიცავდეს ხუთ შემადგენელ ნაწილს:

- საკვლევი თემა (მოხსენებაში გასაშლელი საკითხის მოკლე აღწერა).
- აქტუალობა (რატომ არის წარმოდგენილი კვლევა აქტუალური).
- პრობლემა (რა ტიპის პრობლემაა დასმული თეზისში).
- მეთოდი (პრობლემის გადასაჭრელად წარმოდგენილი კვლევის მეთოდები).
- დასკვნა (პრობლემის, აქტუალურობის, გადაჭრის მეთოდების შეჯამება და კვლევის შედეგად მიღებული რეზულტატების გამოყენების სფეროს მითითება).

რეკომენდაციები: სასურველია თეზისებში იყოს გამოყენებული გასაღებური სიტყვები, კვლევის მიმართულების უფრო ნათლად წარმოჩენისთვის.

შრიფტი: Sylfaen; შრიფტის (Font) ზომა: 12 ერთეული; სტრიქონებს შორის მანძილი: 1.15 სმ;
სათაური: ცენტრში, შრიფტის ზომა: 16, Bold (მუქი შრიფტით) **ავტორის სახელი, გვარი,** დაწესებულება - ცენტრში, შრიფტის ზომა 14; ფურცლის კიდიდან დაცილებები: - 2 სმ

კითხვები და თქვენი მოსაზრებები კონფერენციის თაობაზე, გთხოვთ მოგვწეროთ ელ-ფოსტაზე: conference@gtu.ge